სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში განსხვავებული პოზიციები აქვთ: მაგალითად, საქართველო ორიენტირებულია დასავლეთთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების ჩართულობაზე, რომლის ერთ – ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, ნატოს სტრუქტურების ინტეგრირებაშია. გარდა ამისა, საქართველო განიხილება როგორც დასავლეთის ძირითადი დასაყრდენი სამხრეთ კავკასიაში, რაც მიუხედავად რუსული პოლიტიკური წნეხისა, მას საშუალებას აძლევს, ჰქონდეს დასავლეთის ძლიერი მხარდაჭერა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვაში. საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ არ არის ნატოს წევრი სახელმწი-

ფო აღიქმება, როგორც სანდო არა წევრი პარტნიორი და მონაწილეობს ალიანსის ეგიდის ქვეშ განხორციელებულ სამშვიდობო თუ ანტიტერორისტულ საქმიანობაში. აზერბაიჯანი ცდილობს დასავლეთთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას, მაგრამ გარკვეულ დისტანციას იჭერს მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მისი ენერგომატრებლების უდიდესი ნაწილი გათვლილია ევროპულ ბაზარზე. აზერბაიჯანული მხარე მიიჩნევს რომ მისი სახელმწიფოს არაბლოკური სტატუსი პოლიტიკური მანევრირების მეტ საშუალებებს მისცემს და ეს მისი ფრთხილი, მოზომილი პოლიტიკის შედეგია. რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს სომხეთის ხელისუფლებას. ისინი ღია პრორუსულ პოლიტიკას ატარებენ, თუმცა უკანასკნელ დროს შეინიშნება დასავლეთისკენ სწრაფვაც.

ასეთი განსხვავებული პოლიტიკური მისწრაფებების არსებობის ვითარებაში, საჭიროა რეგიონალური თანამშრომლობის ახალი პლატფორმის მომზადება, რომელიც ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოების ახალი კონცეფციის შემუშავებას, გაზრდის თურქეთის როლს გეოეკონომიკური და სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხებში და მხარს დაუჭერს მშვიდობის შენარჩუნებას რეგიონში.

სამხრეთ კავკასია, სადაც რამდენიმე სეპარატისტული კონფლიქტია, მრავალი რეგიონალური და საერთაშორისო ძალის ინტერესების არეალს წარმოადგენს. არსებული ვითარება გვკარნახობს, რომ ეკონომიკური და სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელია მოხერხდეს მყარი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება თურქეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის. ეს თანამშრომლობა ოფიციალური დოკუმენტების დონეზე, უკვე საფუძველჩაყრილია, მაგრამ საჭიროა მისი გაფართოება და რეალიზაცია.

ნაშრომში რეგიონალური უსაფრთხოების კუთხით განხილულია თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც ითვალისწინებს სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების მყარი არქიტექტურის შექმნას, რაც აუცილებელია მსოფლიოს ახალი საფრთხეების იდენტიფიცირებისა და მათი პრევენციის მზაობისთვის. სამხრეთ კავკასიაში რეგიონალური უსაფრთხოების თვალსაზრისით თურქეთის როლის გაძლიერება უზრუნველყოფს ბალანსის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებით. სამხრივი თანამშრომლობა განამტკიცებს მჭიდრო ურთიერთობებს შეიარაღებულ ძალებს შორის საერთო მიზნებისა და ინტერესების ეფექტურად შესრულებისათვის. ამ თანამშრომლობის ფარგლებში ძირითადი ყურადღება ეთმობა რეგულარულ სამხრივ წვრთნებსა და სწავლებებს. გარდა ამისა, თანამედროვე ეტაპზე, თურქეთ - საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების განმსაზღვრელი უნდა გახდეს სამხრივი თანამშრომლობა რეგიონალური ეკონომიკური პროექტების განხორციელებაში და ერთიანი პოლიტიკური პლატფორმის შემუშავება რეგიონის უსაფრთხოების საკითხებში. მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელებისა ამ სამი ქვეყნის სტრატეგიული და ეკონომიკური პარტნიორობის ფარგლებში სასურველია ვიხილოთ საქართველო-აზერბაიჯან-თურქეთის სტრატეგიული ალიანსი, რომელიც დაფუძნებული იქნება სახელმწიფოთა შორის სუვერენული თანასწორობის პრინციპებზე და უზრუნველყოფს მშვიდობის მშენებლობასა და უსაფრთხოების გარანტიას რეგიონში.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, გეოეკონომიკური და სტრატეგიული თანამშრომლობა; სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოების ახალი კონცეფცია.

**ტრიტიკალეს მწვანე მასის მოსავლიანობაზე თესვის
ნორმის გავლენა
ასოცირებული პროფესორი ზაირა ტყებუჩავა**

**THE IMPACT OF PLANTING NORMS ON THE YIELD OF
TRITICALE GREEN MASS
Assoc. Prof. Dr. Zaira TKEBUCHAVA**

მოკლე შინაარსი

ტრიტიკალე ჭვავისა და ხორბლის შეჯვარებით მიღებული ახალი კულტურაა. გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით, ტრიტიკალეს მცენარე მეცხოველეობისათვის ძვირფასი მწვანე საკვებია, რომელშიც დიდი რაოდენობითაა შაქრები და კაროტონოიდები, ცილა და ცილაში შეუნაცვლებელი ამინომჟალოზინი. მისი გადიდებული ზამთარ და ყინვაგამძლეობა შესაძლებლობას იძლევა ვაწარმოთ იქ სადაც ხორბალის და ქერის წარმოება შეუძლებელია.

ოპტიმალური აგროტექნოლოგიების დაცვით შესაძლოა მიღებულ იქნას ტრიტიკალეს მწვანე მასა 100-600 ც/ჰა, რაც მაღალი მოსავლიანობაა. ტრიტიკალეს თესლის გაღივება 2 გრადუს ტემპერატურაზე იწყება. ოპტიმალური ტემპერატურაა 20 გრადუსი, ხოლო მაქსიმალური 35. თესვიდან 5-7 დღის შემდეგ იწყება აღმოცენება; 18-20 გრადუსზე ძირითადი მასა ბარტყობს, შემოდგომაზე ნაბარტყის რაოდენობა საშუალოდ 3-6-ია.

ცნობილია, რომ სათესლე მასალის მსხვილი ფრაქციები, როგორ წესი, ხასიათდება მაღალი აღმოცენების და უხვი მოსავლიანობის უნარით. ამასთან ერთად, ხშირად აღინიშნება სხვაობა თესლის აღმოცენების ლაბორატორიულ და მინდვრულ აღმოცენებას შორის, რასაც მიყვავართ თესვის დადგენილი ნორმების დარღვევასთან. მარცვლის მინდვრული

აღმოცენება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და ამიტომ, სათესლე მასალის აღმოცენება არ არის დამოკიდებული მხოლოდ სათესლე მასალის ხარისხზე, თუმცა ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტორი აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად.

ტრიტიკალეს თესვის ნორმა სხვადასხვა განოყიერების ფონზე (NPK), ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის, მეტად მკაცრ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში მწვანე მასის მისაღებად.

კვლევის შედეგებიდან მიღებულ იქნა:

5 მილიონი ტრიტიკალეს მარცვლის ერთ ჰა-ზე თესვისას, $N_{120}P_{120}K_{90}$ განოყიერების ფონზე, მიღებულ იქნა 450,500 ც/ჰა-ზე მწვანე მასა;

ამგვარად, სამცხე ჯავახეთის რეგიონის მდელოს ყავისფერ ნიადაგებზე, სარწყავ პირობებში შესაძლებელია ერთ ჰექტარზე 5 მილიონი მარცვლის თესვისას მიღებულ იქნას ტრიტიკალეს მწვანე მასა 400-450 ც/ჰა-ზე, განოყიერების $N_{120}P_{120}K_{90}$ ფონზე. /მინერალური სასუქების დოზა უნდა დადგინდეს ნიადაგის აგროქიმიური ანალიზის საფუძველზე./

საკვანძო სიტყვები: ტრიტიკალე, თესვის ნორმა, მწვანე მასა, საკვებწარმოება, მეცხოველეობა.

საქართველო მსოფლიო უნივერსიტეტების
რანჟირების სისტემაში
ასოცირებული პროფესორი თამარ შინჯიაშვილი

**GEORGIA IN THE WORLD UNIVERSITIES RANKING
SYSTEM**
Assoc. Prof. Dr. Tamar SHINJIASHVILI

მოკლე შინაარსი

მსოფლიო ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლები კონკურენციას უწევენ ერთმანეთს სტუდენტების და მათ შორის უცხოელი სტუდენტების მოზიდვაში. აბიტურიენტების მიერ უნივერსიტეტის შერჩევის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უნივერსიტეტის ადგილი საერთაშორისო რეიტინგებში. აბიტურიენტებს, მშობლებს, სტუდენტებს, დამსაქმებლებსა და პროფესორ-მასწავლებლებს აინტერესებთ კვლევაზე დაფუძნებული შედეგები იმის შესახებ, თუ რა ადგილს იკავებს კონკრეტული სასწავლებელი სხვა სასწავლებლებთან მიმართებაში.

მსოფლიოში არსებობს უნივერსიტეტების შეფასების რამოდენიმე ცნობილი რეიტინგი:

The Times (The times higher Education World University Ranking), OS World University Ranking (Quacquarelli Symonds) და ARWU (შანხაის უნივერსიტეტების რეიტინგი). უნივერსიტეტის ეფექტურობას მსოფლიო სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში მათი წვლილის მიხედვით აფასებს რეიტინგი Webometrics. Ranking Web of World Universities - არის უნივერსიტეტების მსოფლიო რეიტინგი, რომლის მონაცემებიც წელიწადში ერთხელ ახლდება.

ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც ამ რეიტინგის შესადგენად გამოიყენება, ინტერნეტსივრცეში უნივერსიტეტის ხილვადობაა. ხილვადობა იზომება იმის მიხედვით, თუ რამდენად ხშირად და ფართოდ გამოიყენება უნივერსიტეტის საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაცია, რამდენად აქტიურად არიან წარმოდგენილი მისი პროფესორები და მკვლევრები ინტერნეტსივრცეში. აქ გამოყენებული ვებინდიკატორები არ აფასებს ვიზიტორთა რიცხვს ან ვებგვერდის დიზაინს, არამედ ეფუძნება საერთაშორისო მასშტაბით უნივერსიტეტების მიღწევებსა (მათ შორის, მკვლევრების ციტირების რეიტინგს და პუბლიკაციებს) და ხილვადობას.

ბოლო მონაცემებით, ქართული უნივერსიტეტების რეიტინგი 1001-დან იწყება. ამ რეიტინგულ სისტემაში საქართველოს უნივერსიტეტებს შორის ლიდერობენ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ქართული უნივერსიტეტების ხუთეულის რეიტინგში ბოლოა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Times Higher Education World University Rankings-ის მსოფლიოს უნივერსიტეტების 2018 წლის რანჟირებაში მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 5 პროცენტში მოხვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც. მსოფლიოს საუკეთესო 1500-ზე მეტ გლობალურ-კვლევით უნივერსიტეტს შორის თსუ 1001+ ადგილს იკავებს და რანჟირების ჩამონათვალში კვლავ ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოდან და რეგიონიდან. Times-ის რანჟირება მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების ერთ-

ერთი ყველაზე პრესტიჟული რანჟირებაა, 14-წლიანი გამოცდილებით.

2018 წლის მონაცემებით Webometrics-ის მიხედვით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს 15040 ადგილი უკავია მსოფლიო უნივერსიტეტებს შორის და წინ უსწრებს ბევრ ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტს (<http://www.webometrics.info/en/Europe/Georgia%20>). აღნიშნულ რანჟირების სისტემაში წარმოდგენილ 61 ქართულ უნივერსიტეტსა და სასწავლო დაწესებულებას შორის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მე-16 ადგილი უკავია.

U-Multirank არის ახალი მრავალგანზომილებიანი მიდგომა უნივერსიტეტების რანჟირების სისტემაში. იგი უნივერსიტეტებს შემდეგი საქმიანობის მიხედვით ადარებს: (1) სწავლებისა და სწავლის, (2) კვლევა, (3) ცოდნის გადაცემა, (4) საერთაშორისო ორიენტაცია და (5) რეგიონული ჩართულობა. U-Multirank ვებ ინსტრუმენტები საშუალებას იძლევა შედარდეს უნივერსიტეტები მთლიანობაში, ან გარკვეული ნიშნის მიხედვით - კონკრეტული მიმართულებით.

U-Multirank-ის პირველი რეიტინგი 2014 წელს გამოვიდა, რომელიც მოიცავდა 850-ზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას 70 ქვეყნიდან და მათში უნივერსიტეტების ჩართულობა ყოველწლიურად იზრდება. 2015 წლის გამოცემას დაემატა 350-ზე მეტი ახალი უნივერსიტეტი და სამი ახალი საგნობრივი სფერო: ფსიქოლოგიის, კომპიუტერული მეცნიერების და მედიცინის, ხოლო ჩრთული ქვეყნების რიცხვი გაიზარდა 83-მდე. U-Multirank დამოუკიდებელი რანჟირების სისტემა დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ Erasmus + პროგრამით. U-Multirank კონსორციუმის მუშაობას ზედამხედველობას უწევს მრჩეველთა საბჭო.

საქართველოდან რანჟირების ამ სისტემაში ჩართულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2019 წლის მაისში შეუძლია შეავსოს განაცხადი, ჩაერთოს რანჟირების სისტემაში, და გაზარდოს მისი ხილვადობა.

ჩვენი კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ თანამედროვე ეტაპზე ქართული უნივერსიტეტების ვებ-საიტებისათვის დამახასიათებელია დაბალი ხარისხის ხილვადობა და მეცნიერების ქსელური სამეცნიერო კომუნიკაციების განვითარების დაბალი ხარისხი. აუცილებელია საქართველოს უნივერსიტეტებმა დროულად გამოასწორონ ხარვეზები, რომ დაიკავონ შესაფერისი ადგილი მსოფლიო სამეცნიერო ვებ სივრცეში და გაზარდონ თავისი ცნობადობა მსოფლიოში.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი სასწავლებლები, რანჟირების სისტემა, უნივერსიტეტების შეფასება.

**სახელმწიფო ფინანსური რეგულირების ორგანიზაციის
სრულყოფის გზები და საშუალებები
პროფესორი დავით ჩახვაშვილი**

**WAYS AND MEANS OF IMPROVING THE
ORGANIZATION OF STATE FINANCIAL REGULATION
Prof. Dr. Davit CHAKHVASHVILI**

მოკლე შინაარსი

ბოლო დროის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაასაბუთა, რომ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების ახალი მექანიზმი საბაზრო წონასწორობის კორექტირებისკენ უნდა იყოს მიმართული, იმ შემთხვევაში თუ უკანასკნელი არ შეესაბამება საზოგადოებრივ კეთილდღეობას, რეგულირების პროცესი საქონლისა და მომსახურების წარმოების საშუალებას უნდა უზრუნველყოფდეს. ეკონომიკაზე და სოციალურ სფეროზე ზემოქმედების რეალიზაცია, მრავალმხრივ გატარებული ღონისძიების რესურსულ უზრუნველყოფაზე დამოკიდებული, ამასთან, სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ამოცანების განხორციელების აუცილებელი პირობა ქვეყნის საფინანსო რესურსების ფორმირებისა და გამოყენების პროცესია.

სტატიაში მოცემული მოსაზრებების თეორიულ საფუძველი, საფინანსო პრობლემების კვლევაა, რომელიც სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაზე რეგულარულ და სისტემურ ზემოქმედებასთანაა დაკავშირებული და ფინანსების მეშვეობით სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას, ცალკეული დარგების ან მოსახლეობის ჯგუფების კეთილდღეობაზე ზეგავლენას გულისხმობს.

სტატიის მიზანია სოციალურ-ეკონომიკური პროცესების საფინანსო რეგულირების თეორიის ფუნდამენტალური საკითხების განხილვა, სამეწარმეო საქმიანობის საფინანსო უზრუნველყოფის სახელმწიფო-ებრივი რეგულირების პრაქტიკული რეალიზაციის პრობლემების ანალიზი, ასევე, თანამედროვე პირობებში საფინანსო რეგულირების ორგანიზაციის სრულყოფის გზებისა და საშუალებების შემუშავება, შესაბამისი ქმედითი რეკომენდაციების მომზადება, რათა მათი რეალური გავლენა სამეწარმეო საქმიანობაზე მაქსიმალურად პოზიტიური იყოს.

საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობები საბაზრო მეურნეობის პირობებში უაღრესად მრავალმხრივი პრობლემაა, იგი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: რეგულირების პარამეტრები; საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები, მიმართულებები; ეკონომიკური პროცესების რეგულირების სპეციფიკა გარდამავალ ეკონომიკაში; საკუთრებრივი ურთიერთობები; პრივატიზაციის სახელმწიფოებრივი რეგულირება და ა.შ.

ამიტომ, საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობები აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით განხილულია სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა, ჯერ-კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი მწყობრი შეხედულებები. აზრთა სხვადასხვაობაა, როგორც საფინანსო ბაზრის, ასევე პრივატიზაციის საკითხებთან დაკავშირებით. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება შევჩერდეთ საფინანსო-საკრედიტო სისტემის ნაკლებგამოკვლეულ სექტორზე, დაზღვევაზე, მისი როლი სახელმწიფო რეგულირებაში ფართოდ არ არის გამოკვლეული ლიტერატურაში.

საკვანძო სიტყვები: დაზღვევა, საბაზრო ეკონომიკა, ფინანსური რეგულირება, საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობები, საფინანსო პოლიტიკა, საფინანსო-საკრედიტო სისტემა.

**ფინანსური კრიზისების წარმოშობის ბუნება
ასოცირებული პროფესორი ნელი სესაძე**

**THE CHARACTERISTICS OF BREAKING OUT OF
FINANCIAL CRISES
Assoc. Prof. Dr. Neli SESADZE**

მოკლე შინაარსი

სტატიაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ეკონომიკური რყევების, უკანასკნელ პერიოდში გახშირებულ ფინანსური კრიზისების გამომწვევ მიზეზებზე.

მიზეზთა ერთი ნაწილი უკავშირდება უკავშირდება ეკონომიკურ სუბიექტთა შესახებ ფინანსური ინფორმაციის დამახინჯებას, რის გამოც ნაკლებად სასარგებლო ხდება მომხმარებლისათვის ეს ინფორმაცია. ეს იწვევს მცდარ მოლოდინებს ინვესტორთა მხრიდან. აუდიტური ფირმების, რეიტინგული სააგენტოების მიერ აქტივების ლიკვიდურობის არარეალური შეფასება გადაიქცა მსოფლიო კრიზისის შემდგომი გაღრმავების კატალიზატორად.

სტატიაში განხილულია ეკონომიკის რყევების მიზეზები ქცევითი თეორიის პოზიციიდან. გაანალიზებულია ფსიქოლოგიური ფაქტორების როლი ფინანსური კრიზისების განვითარებაში.

ტრადიციული ეკონომიკური თეორიისაგან განსხვავებით ქცევითი თეორია ეკონომიკის რყევებს, მათ შორის ფინანსური კრიზისის წარმოშობა-გამძლიერების მიზეზებს ეძებს ადამიანის ფსიქოლოგიაში, ადამიანის ირაციონალურ ქცევაში. აჟიოტაჟური მოთხოვნა და გადაჭარბებული სპეკულაციური ინვესტიციები მნიშვნელოვანია ეკონომიკური პროცესების კვლევის დროს.

ეკონომიკის ჩავარდნების ერთერთ მიზეზ-ფაქტორს წარმოადგენს ფინანსური განათლების დეფიციტი მოსახლეობაში.

თანამედროვე ეტაპზე განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში უდიდესი ყურადღება დაეთმო მოსახლეობაში ფინანსურ განათლების შეტანას. ითვლება, რომ განათლებული, თავის თავში დარწმუნებული მოქალაქეები, რომელთაც შესწევთ უნარი აიღონ პასუხისმგებლობა ფინანსებზე წარმოადგენს ჯანმრთელი და სტაბილური საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველს.

2018 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ იქნა სიმპოზიუმი „ფინანსური განათლების ამაღლება მსოფლიოში: რალიზაცია და ინოვაციები“.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ ეკონომიკის რყევები ეკონომიკური მეცნიერების კრიზისის გამოხატულებაა. თანამედროვე ეკონომიკურმა თეორიამ და მაკროეკონომიკამ ვერ შეძლო კრიზისის პროგნოზირება. ეკონომიკის კრიზისი კაცობრიობის გონებრივი განვითარებისა და ცოდნის კრიზისია, რაცმოითხოვსახალმდგომებს და მოდელებს შეცვლილი რეალობის გასაცნობიერებლად (სინერგეტიკა, ეკონოფიზიკა).

საკვანძო სიტყვები: ფინანსური კრიზისი, ეკონომიკური რყევა, განვითარებადი ქვეყნები, ფინანსური განათლება, ეკონომიკური სუბიექტი.

AZİZE CAFERZADE NESRİNDE TARİHİ KONUNUN ÖNEMİ

Ayna BABAZADE

ÖZET

Makalede, Azize Caferzade (1921-2003) nesrinde tarihi konunun öneminden bahsedilir. Çağdaş Azerbaycan edebiyatı tarihinde değerli hizmetleri olan yazarı, daha çok tarihi roman yazarı olarak tanınmıştır. Yazarın tarihi konuda yazmanın sebebi, Azerbaycan tarihinin tahrif edilmiş bazı makamlarını ortaya çıkarmak ve gerçeği olduğu gibi halka göstermektir. Folklor da tarihsel gerçeklerin olduğunu belirten yazar, eserlerinde folklor örneklerinden yararlanmıştır.

Makalede, yazarın tarihi konuda yazdığı eserlerden: “Alemde Sesim Var” (1973-1978), “Vatana Dön” (1977), “Bakü-1501” (1981), Celaliyye” (1983), “Sabir” (1989) “Gülstan'dan Önce” (1996), “Elden Ele” (1992), “Bir Sesin Faciası” (1995), “Zerrintac-Tahire” (1996) vb. Ayrıca yazarın tarihi eserlerinin, edebiyat tarihinin yanı sıra Azerbaycan tarihinin incelenmesi ve öğretilmesi için çok önemli bir kaynak olduğu vurgulanmaktadır.

Anahtar Kelimeler: Tarihsel Gerçeklik, Sanatsal Gerçeklik, Yeni Arayıcı Ruhu, Modernlik, Folklorla Bağlılık

**სასაზღვრო ოლქების როლი ხეთების იმპერიული
მართვის სისტემაში
პროფესორი ნიკოლოზ ახალკაცი**

**“ON THE ROLE OF BORDER REGIONS IN THE
ADMINISTRATION SYSTEM OF THE HITTITES”**

Professor Nikoloz Akhalkatsi

მოკლე შინაარსი

ხეთების სამეფოს მთელი სასაზღვრო ზოლის გასწვრივ ჩამოყალიბებული იყო ე.წ. „სასაზღვრო ოლქები“, რომლის აღსანიშნავად ხეთურ ტექსტებში რაიმე სპეციალური ტერმინი არ მოგვეპოვება. ყოველი სასაზღვრო ოლქი ან სასაზღვრო ოლქის დასახლებები ხეთურ ტექსტებში მოხსენებულია თავისი საკუთარი სახელით. ის, რომ ეს დასახლებები განეკუთვნება სასაზღვრო ოლქებს ვგებულობთ იმ ხეთური ტექსტების მიხედვით, სადაც დასახლების (ქალაქების) ან მთელი მხარის სახელი მოხსენიებულია ამ ოლქში დანიშნული მმართველის თანამდებობის ან წოდების აღმნიშვნელ სახელთან ერთად. სასაზღვრო ოლქების ჩამოყალიბება იწყება „ძველი სამეფოს პერიოდიდან, მაგრამ მმართველობის დახვეწილი ფორმებით ის გვევლინება ახალი სამეფოს პერიოდში, როდესაც ხეთების სამეფომ მართველობის თვალსაზრისით იმპერიულ სახეს იღებს. ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებში ხეთების სამეფო იქცა იმ დროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ. ეგვიპტისა და შუამდინარეთისაგან განსხვავებით, სადაც სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი ითამაშა საირიგაციო სისტემაზე დამყარებულმა მიწათმფლობელობამ, ხეთების სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში გარკვეული როლი ითამაშა საგარეო ფაქტორმა, რომლის გამოც

ხეთების სახელმწიფოს სიძლიერე სამხედრო საქმეზე იყო დამოკიდებული. ხეთების სახელმწიფოს დაპყრობით საგარეო პოლიტიკის გატარებასთან ერთად, ხშირად უხდებოდა გარეშე მტრების მოგერიება. ამიტომ, ხეთების სახელმწიფოს ტერიტორიები და განსაკუთრებით, მისი სასაზღვრო რეგიონები შემოსეული მტრისაგან ხშირად განიცდიდა რბევას. ასეთ პირობებში ხეთების სამეფოს სამხედრო ძლიერება გამოიხატებოდა პირველ რიგში სახელმწიფო საზღვრის დაცვის ორგანიზაციაში. სასაზღვრო დაცვის საქმე ხეთების სამეფოში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. ხეთების სამეფოს თითოეული სასაზღვრო ოლქი მოიცავდა სასაზღვრო ზოლთან მიმდებარე ტერიტორიებს, რომელიც შესაძლოა ემთხვეოდა ისტორიულად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებს. სასაზღვრო ოლქში სამეფო ხელისუფლების მიერ დანიშნული მმართველის-BEL MADGALT-ის ძირითადი მოვალეობა სამოქალაქო ფუნქციებთან ერთად სამეფოს საზღვრის გამაგრება და დაცვა იყო. BEL MADGALT /ზოგადი ფუნქციებით შეიძლება შევადაროთ ევროპის შუა საუკუნეების მარკგრაფებს და საქართველოს ერთიანი მონარქიის პერიოდის მონაპირე ერისთავებს, თუმცა ამ ოლქების მმართველობის ფორმები რადიკალურად განსხვავებულია.

სამიეზო სიტყვები: BEL MADGALT, სასაზღვრო ოლქი, ხეთების სამეფო, მარკგრაფი, მონაპირე ერისთავი.

**კონფლიქტების მოგვარების ახალი სტრატეგია
პროფესორი ზურაბ ხონელიძე**

**A NEW STRATEGY TOWARDS THE SOLUTION OF
CONFLICTS**

Prof. Dr. Zurab KHONELIDZE

მოკლე შინაარსი

პოლიტიკურ მეცნიერებებში კონფლიქტების სამშვიდობო დარეგულირების არაერთი მოდელი შემოუთავაზებიათ, რომლებიც ძირითადად სამთავრობო და არასამთავრობო რესურსებს ეყრდნობა და არასდროს არ არის გამოყენებული ისეთი მძლავრი სტრატეგიული რესურსი როგორცაა განათლების სისტემა და ამ სისტემაში არსებული ელიტური კერა - უნივერსიტეტი. სამწუხაროდ, სამთავრობო და არასამთავრობო რესურსი არ ჰყოფნის კონფლიქტების დარეგულირების პროცესს, რასაც თანამედროვე პოლიტიკური პროცესებიც გვიჩვენებენ. საჭიროა ახალი, არაპოლიტიზირებული ძალა, რომელიც პოლიტიკის ველიდან გაიტანს კონფლიქტების დარეგულირების სტრატეგიას და დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობების საჭიროებას გააჩენს.

უკანასკნელ ხანს შემოთავაზებული სამეცნიერო დიპლომატია კონფლიქტების დარეგულირებისათვის ახალ ფართო გასაღებს იძლევა, რათა კონსტრუქციული საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად ხალხთა შორის არსებული სამეცნიერო თანამშრომლობა გამოიყენონ. სამეცნიერო დიპლომატიის ფარგლებში არსებული რესურსი საუნივერსიტეტო განათლების ერთ აუცილებელ სეგმენტს - მეცნიერებას მოიცავს. და რადგან საუნივერსიტეტო ცხოვრება ორი ძირითადი პარადიგმის სწავლისა და კვლევის, სწავლებისა

და მეცნიერების ერთიანობაა, სამეცნიერო დიპლომატია კონფლიქტების დარეგულირების პროცესში თამაშ გარე მდგომარეობაში ტოვებს ისეთ უმნიშვნელოვანეს რესურსს როგორცაა სასწავლო პროცესი და მისი ყველაზე მნიშვნელოვანი სუბიექტი სტუდენტი.

საკითხისადმი ჰოლისტური მიდგომა და სისტემური ანალიზი გვაფიქრებინებს, რადგან განათლების ელიტური კერის - უნივერსიტეტის გარეშე წარმოდგენილია რაიმე სახის წარმატების მიღწევა და საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივა. ამდენად, დიდია უნივერსიტეტის, როგორც ისტორიულად დამკვიდრებული ინსტიტუციური ერთეულის მიმართ საზოგადოების ნდობა და მოლოდინები. სხვა შესაძლებლობებთან ერთად იგი საფუძველია: განათლების, ინფორმაციის მიღების, ახალი ცოდნის წარმოქმნა-გავრცელების, ინდივიდუალური უნარების გამოვლენის და მათი განხორციელების, კრიტიკული, შემოქმედებითი, სტრატეგიული, ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი აზროვნების; სწორი, ცოდნაზე დაფუძნებული- დროის გამოწვევის შესაბამისი ხედვების ფორმირების და სხვ. ამასთან ერთად, უნივერსიტეტი, არის პროგრესისა და უწყვეტობის საფუძველი: იგი ქმნის საშუალო კლასს და ელიტას, აყალიბებს კულტურას- ფასეულობებს და ღირებულებათა სისტემას ხალხში, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდებში, ანუ თაობაში, რომელიც, სწორედ უნივერსიტეტებში გადის სოციალიზაციის პირველ ეტაპებს;

აქედან გამომდინარე, სამეცნიერო დიპლომატიის პლატფორმაზე დაყრდნობით, კონფლიქტების მოგვარების ახალი სისტემური პარადიგმა - საუნივერსიტეტო დიპლომატია უნდა იყოს უფრო ფართო, მასშტაბური და ეფექტური სტრატეგია, რომელიც სამეცნიერო ურთოერთობების გარდა მოიცავს

სწავლების საკრალური მეთოდური პროცესისა და ახალგაზრდების - სტუდენტების ჩართულობას პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების სამშვიდობო პროცესში.

„საუნივერსიტეტო დიპლომატია“ თავის თავში მოიცავს ისეთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიებს, როგორიცაა „უნივერსიტეტი“ და „დიპლომატია“. მათი ორგანული შერწყმითა და პარიტეტული ერთიანობით ყალიბდება სრულიად ახალი ფენომენი. „საუნივერსიტეტო დიპლომატია“ მოიცავს პრობლემათა გადაჭრისა და თვითრეგულირების დღემდე ჯერ კიდევ გამოუყენებელ, აუმოქმედებელ უნიკალურ შესაძლებლობებს. ეს არის დაინტერესებულ სუბიექტებს შორის კომუნიკაციის ინოვაციური ფორმა, კონკრეტულად კი დიპლომატიისა და სამშვიდობო განათლების ახალი ორერთიანი სახეობა, რომელიც გულისხმობს არსებული, თუმცა დღემდე გამოუყენებელი რესურსის- აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი (საუნივერსიტეტო) პოტენციალის ამოქმედებას. აჩენს შესაძლებლობას საუნივერსიტეტო სივრცეში შეიქმნას მშვიდობის მშენებლობის თვისობრივად ისეთი ახალი ფორმატი, რომელიც უალტერნატივო - სამშვიდობო ენითა და სამეცნიერო დიალოგის საფუძველზე ხელს შეუწყობს:

- რეალური ნდობის აღდგენას, მოუგვარებელი კონფლიქტებით გაჭიანირებული მდგომარეობის - „არც მშვიდობა, არც ომის“ სისტემურ მეცნიერულ აღქმა-გაცნობიერების საფუძველზე;
- კონფლიქტების გამოძწევი მიზეზების არსის გარკვევას, მათში მონაწილე და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესების შესწავლას, ანალიზს, შეფასებას, მათ შორის თანხვედრის პოვნას;

- სამშვიდობო პროცესის დემოკრატიზაციას, ძალადობის ნებისმიერი ფორმით გამოყენების გამორიცხვას;
- პოზიტიური, კონსტრუქციული განწყობის შექმნას;
- კონფლიქტების გამომწვევი მიზეზებისა და მათში მონაწილე დაინტერესებული მხარეების ინტერესების შესწავლას;
- მაქსიმალურ კონსენსუსზე, ე.წ. „საერთო ნიადაგის“ პრინციპზე, დაფუძნებული ისეთი კონცეფციის გენერირებას, რომელმაც შემდგომში უნდა განსაზღვროს საერთო თანხმობის დოკუმენტის ფორმა და შინაარსი.
- უნივერსიტეტის და დიპლომატიის ფუნქციების არსობრივი გააზრებითა და შეთანაწყობით უნდა შეიქმნას მოდელი (ალგორითმი), რომელიც უზრუნველყოფს და გააჩენს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მტკიცე პერსპექტივას.
- უნივერსიტეტი ინტელექტუალური დამოუკიდებლობის ის კერაა, რომელშიც აზროვნება აკადემიურ სრულყოფილბას, სისტემურობისათვის ესტაფეტას გადასცემს დიპლომატიას. „აზროვნება“ და „არსებობა“, ანუ უნივერსიტეტი და დიპლომატია, მათი კავშირის შექმნა, ძალის „სესხების“, ძალის „დამატების“ და ურთიერთკოოპერაციის საშუალებით ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ. ამდენად აკადემიურ-კვლევითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის შერწყმით, „საუნივერსიტეტო დიპლომატია“ უნდა ვაქციოთ სამშვიდობო პროცესის უნიკალურ მეთოდად და კონფლიქტთან გამკლავების ისეთ საშუალებად, რომელიც კონფრონტაციიდან, ჩიხური მდგომარეობიდან მშვიდობიან კალაპოტში გადაიყვანს ყველა ტიპის დაპირისპირებას.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტები, ახალი სტრატეგია, სამეცნიერო დიპლომატია, საუნივერსიტეტო დიპლომატია.

**ÇOVQAN İDMAN OYUNU AZƏRBAYCAN
FOLKLORŞÜNASLIĞINDA
Tərlan MƏMMƏDOVA**

XÜLASƏ

Azərbaycan xalqının ənənəvi idman növlərinin çoxu folklor mədəniyyəti ilə bağlıdır. İdman növlərindən biri də at belində keçirilir. Şərqi minik at növü Azərbaycanın Qazax, Ağstafa, Tovuz rayonlarında formalaşmışdır. Bəzi ədəbiyyatlarda bu at Azərbaycan “Qazax” atı, kimi və Azərbaycan atı kimi də əks olunmuşdur. Zaman-zaman “Dəliboz”, “Diliboz”, “Dilbaz”, “Dilboz” adları ilə adlanan atlar həm də idmanda istifadə edilir. Təkcə Qazaxda deyil, Qarabağda da “Qarabağ” atları bu kimi idman növlərində istifadə edilir. Dilboz atı idmanda, minikdə, yükdə və yüngül qoşquda istifadə olunur. Dözümlüyü və dağlıq şəraitində minik üçün möhkəm olması ilə səciyyələnir. Qarabağ atlarından cıdır dünüdə atçapma kimi də yarışlar keçirlirdi. At ilə oynanılan idman növlərindən biri də “çovqan” idman növüdür. Çovqan idman növü at ilə oynanılan komanda oyunu olmaqla yanaşı həm də müasir “polo” oyunun da bir versiyasıdır. Çovqan qədim idman oyunlarından biridir. Qarabağ atüstü oyunlarından sayılır. Atüstü oyunlardan tərəkəmə oyunları altında “Papaq oyunu”, “Keçipapaq”, “Çoban oyunu” və.s. oyunlar da mövcuddur. Çovqan idman oyunu Azərbaycan folklorunda, dastanlarda və nağıllarda da öz əksini tapır. Novruz bayramında bu oyundan daha çox istifadə edilir. Məqalədə bu barədə geniş yazılmışdır.

Açar Sözlər: İdman, Çovqan, Atüstü Oyun, Folklor, Qarabağ, Qazax, At.

TARİHDE TÜRK-MÜSLÜMAN KADINLARI

Dr. Öğr. Üyesi Ayten AHMEDOVA

ÖZET

Tarih boyunca kurulan Türk devletlerinde kadınlar toplum hayatında olduğu gibi siyasî hayatta da önemli roller üstlenmiştir. Zaman ve mekâna bağlı olarak bulundukları coğrafyada farklı kültürler ve inanmış oldukları dinlerin de etkisiyle kurmuş oldukları devletlerde kadınların rollerinde de bir takım değişimler yaşandığı görülmektedir. Tarihde türk-müslüman kadını, at binme, silah kullanma ve savaşabilme gücü ile değerlendirilmektedir. Yine tarih kaynaklarında Türklerin kutsal ve önem verdikleri haklara, “ana hakkı” dedikleri ve bunu da “Tanrı Hakkı” ile eşit tuttuklarını göstermektedir.

Dede Korkut hikâyelerinden biri olan "*Deli Dumrul hikâyesinde*" Dumrul canının yerine can bulma çabasına girince bunu kadınından bulmuş, kadını ona hiç çekinmeden "*canını vereceğini*" söylemiştir. Nitekim Dede Korkut hikâyelerinden olan Bamsı Beyrek hikâyesinde yer alan "*Banu Çiçek*" bunun en güzel örneklerden biridir.

Adı Azerbaycan devletçilik tarihine ilk bayan diplomat olarak düşen Sara Hatun, adını iftiharla dile getire bileceğimiz bir Türk Müslüman kadınıdır. Osmanlı kaynaklarında yazıldığı üzere onun gerçek adı Gövhərşah hatundur. Azerbaycan tarihinde tanınmış ve tarihte iz salmış şahsiyetlerden birisidir. Bütün Şarkta döneminin tek yetenekli diplomat bayanı olarak tanınmış Sara Hatun yüce aklı ve metaneti ile bilgelik , cesaret sahibi mübarek kadındı.

Sosyal hayata katılarak halkının refahı için her şeyden vaz geçen kadınlardan birisi de Azerbaycan'ın ayrılmaz bölgesi Karabağ diyarından olan tanınmış soydan gelen Mehtikulu kızı Hurşitbanu Natevandır. Hurşitbanu Natevan parlak yeteneğe ve öncü fikirlere sahip büyük şahsiyet olmuştur.O, Azerbaycan kültüründe və ictimai hayatında derin izler koymuştur.1850'den itibaren şiir yazdığı bilinen Hurşid Banu, 1872'de Şuşa'da "*Meclis-i Üns*" adı altında şairler birliği kurdu ve yirmi yıldan fazla bu birliğin yöneticisi ve mali destekleyicisi oldu.

Anahtar Kelimeler: Türk , Müslüman, Kadın, Sara Hatun, Natevan

**ბაროკოს სტილთან კავშირის ერთი ასპექტი „დავითიანში“
ასოცირებული პროფესორი ქეთინო გრძელიშვილი**

**“ONE ASPECT OF THE CONNECTION WITH BAROQUE
STYLE IN "DAVITIANI" ”**

Assoc. Prof. Dr. Ketino GRDZELISHVILI

მოკლე შინაარსი

„დავითიანის“ ბაროკოს სტილთან კავშირზე საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, თუმცა ეს შეხედულებები, ვფიქრობ, არაა საკმარისი. ბაროკო (ფრანგულად უსწორმასწორო მარგალიტი) ხელოვნებაში პერიოდიცაა და სტილიც. ფრანგი მეცნიერის ჟან-პოლ ტურანის სიტყვებით: „ბაროკოს არ გააჩნია არც ცენტრი და არც საზღვარი. ის წარმოადგენს ერთგვარ მორალურ და ესთეტიკურ ამინდს, აერთიანებს ყველაზე განსხვავებულ საკითხებს და წარმოშობს ჟანრებს, რომლებიც ყველაზე შესაფერისნი არიან“. ბაროკოს სტილი იყენებს გაზვიადებულ მოძრაობასა და წმინდა, ადვილად აღსაქმელ დეტალებს დრამის, სიმძაფრის, გრანდიოზულობის გადმოსაცემად სკულპტურაში, ფერწერაში, ლიტერატურასა თუ მუსიკაში. გარდა ჟანრობრივი მრვალფერვნებისა, ბაროკოს სტილთან „დავითიანის“ კავშირი მჟღავნდება პოეტის ღრმა რელიგიურ განცდებში. ბაროკოს ადამიანი ხომ ღრმა რელიგიური განცდის ადამიანია, მთელი მისი მსოფლშეგრძნება ქრისტიანულ რელიგიაზეა ორიენტირებული. მკვლევარ ჟან როუსეტის აზრით: „ბაროკოს ადამიანში გარე სამყაროს დისჰარმონიულობა პესიმისტურ განცდას წარმოშობს და მას ეუფლება მუდმივად ცვალებად სამყაროში კანონზომიერების დადგენის შეუძლებლობის გრძნობა. ამ გრძნობის საფუძველზე შემოქმედთა ერთი ნაწილი უარყოფს

ჰუმანისტთა თეზისს ადამიანის კეთილი ბუნების თაობაზე და მის ნაცვლად ამკვიდრებს აზრს ადამიანის ბუნების თავდაპირველი ცოდვილიანობის შესახებ. ამის მიზეზად მას „პირველი ცოდვა“ მიაჩნია, ხოლო ადამიანის გადარჩენის შესაძლებლობად -რელიგიური დოგმების დაცვა. თანამედროვეობის მანკიერება ქრისტიანული პრინციპების დავიწყებითაა ახსნილი". ეს თვალთახედვა წარმმართველია „დავითიანში“. პოეტი თავის რელიგიურ განცდებს ყველაზე მძაფრად გამოხატავს რეფრენით. მის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ნათქვამია, რომ „ეს არის ტაეპები, რომლებიც ლექსში გარკვეული წესით მეორდება.“ რეფრენი „დავითიანში“ ავტორის რელიგიური განცდების გადმოსაცემადაა გამიზნული და გვხვდება თხზულების იმ ნაწილებში, სადაც ლირიკული ნაკადია(ა, ბ და გ წიგნები) წარმოდგენილი. უნდა ითქვას, რომ რელიგიური განცდის გამოსახატავად პოეტი იღებს ხალხური ლექსის ან სიმღერის მოტივს, რითმას, რიტმს, არგებს მას სასულიერო პოეზიის შინაარსს და ქმნის სრულიად ახალ სამოძღვრო-მოთხრობითი ხასიათის ლირიკულ ლექსებს: სავედრებლებსა და სადიდებლებს, რომლებშიც ავტორი პირველცოდვას პიროვნულად განიცდის. ბაროკოს სტილიც ამ ნიშნითაა აღბეჭდილი. პირველი ცოდვის პიროვნულად განცდას თან ახლავს ავტორის სკეფსისი, გაორება, რაც რეფრენით საუცხოოდაა გამოხატული.

საკვანძო სიტყვები: ბაროკო, სტილი, „დავითიანი“, რეფრენი, სკეფსისი.

HUMAN RESOURCES MANAGEMENT IN BANKING SECTOR

Assoc. Prof. Dr. Nino SAMCHKUASHVILI

ABSTRACT

The banking industry is a highly regulated powerhouse that stabilizes the economic environment of nations around the world. Banks store sensitive, personal information about their clients, and commercial banks often house more valuable inventory -- cash -- than other retail operations. Bank employees, from executives to tellers, must have a higher level of integrity and trustworthiness than employees in most other industries, making the role of HR in banking that much more important.

Like many other organized sectors, banking requires a multi-layer manpower for its various requirements of professionals and support staff. The range may require reasonably educated security guards on the one end and a highly educated and trained professional as head of corporate finance at the other.

Key Words: Banking Sector, Human Resources, Management

JEL Classification: O15, G21

**ჭიხარულას ლინგვისტური და ონომასტიკური კვლევისთვის
ასოცირებული პროფესორი მაია ქუქჩიშვილი**

**FOR THE LINGUISTIC AND ONOMASTIC RESEARCH OF
CHIKHARULA**

Assoc. Prof. Dr. Maia KUKCHISHVILI

მოკლე შინაარსი

კვლევაში წარმოდგენილია მცდელობა სოფელ ჭიხარულას ეტიმოლოგიის შესახებ, რამაც საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანა.

სოფელი ჯავახეთის ზეგანზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის მთების სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, ზღვის დონიდან 1860 მ. სიმაღლეზე.

კვლევამ აჩვენა, რომ **ჭი-** / **ჭიხ-** ბერათოკომპლექსი, რომელიც სახელწოდების პირველნაწილშია, სომხურში არ დასტურდება. ასევე არ დადასტურდა თურქულში. ფაქტობრივად, ადგილობრივი სომხური მოსახლეობის ყველა შესაძლო ვერსია, რაც ჭიხარულას ეტიმოლოგიას უკავშირდება, თურქული ან სომხური ენების გავლენისა თუ სხვა ვარაუდებისა, გამოირიცხა.

რაც შეეხება სახელწოდების მეორე ნაწილს, **ხი-** ფუძე დადასტურებულია როგორც ქართულში (მ-ხი-არ-ულ-ი, მ-ხი-არ-ულ-ება..), ასევე მეგრულსა (ხი-ოლ-ი - სიხარული) და სვანურში (ხი-ად - სიხარული). როგორც რ. გორდეზიანი განმარტავს, ამ ქართულ-ზანური არქექტიპიდან შეიძლება **ხარ-** ფუძის წარმოქმნაც ვივარაუდოთ, რომელიც უნდა შესულიყო ინდოევროპული ენების ერთ ნაწილში.

ჩაგრ- ფუძე მრავლად გვხვდება ბერძნული ენის სიტყვათ-წარმოებაში და ანთროპონიმიკაშიც. ქართულში აწარმოებს როგორც სახელებს, ასევე ზმნურ ფორმებსაც; დართული აქვს

ქართული ენისთვის დამახასიათებელი მაწარმოებლები. მაგ. სი-ხარ-ულ-ი, სა-ხარ-ებ-ა, ხარ-ებ-ა, მ-ი-ხარ-ია და სხვ.

ხარ- ფუძიანი სახელები პროდუქტიული ჩანს ქართულ ანთროპონიმიკაშიც.

სავარაუდოდ ხარ- ფუძე ქართულში ქრისტიანობამდეა შემოსული და ის დაკავშირებული არ არის უშუალოდ სასულიერო ლიტერატურასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნებოდა საღვთო ლიტერატურის აღმნიშვნელი სახელწოდებანი, რომელიც გვაქვს ბერძნულში.

ჩვენი დაკვირვების შედეგად, ხი- ფუძე, რომელიც საერთო-ქართველურია და შესულია ინდოევროპულ და კერძოდ, ბერძნულ ენაში, სავარაუდოა, ბერძნულის გზით ისევ დაბრუნებულიყო ქართულში ხარ- ფუძის სახით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **ჭიხარულას** ეტიმოლოგიური კვლევის მცდელობა გვამღევს საშუალებას ვთქვათ, რომ იგი ქართული ეტიმოლოგიის სახელია. ამას ადასტურებს ერთგვარად -**ულა** მაწარმოებელი, რომელიც ჰიპოკორისტული ან დემინუტიურ ფუნქციას ასრულებს, პირველი კომპონენტი **ჭი-** ჭასთან უნდა იყოს დაკავშირებული, **ხარ-** კი - სიხარულთან.

კვლევაში განხილულია მასალები სოფელ ჭიხარულას ონომასტიკისთვის.

საკვანძო სიტყვები: ჭიხარულა, ენათმეცნიერება, ეტიმოლოგია, ლექსიკა, ონომასტიკა,

ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე ქართველების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების საკითხისათვის: თორნიკე ერისთავი, გიორგი მთაწმინდელი, გრიგოლ ბაკურიანისძე პროფესორი ზურაბ პაპასკირი

**ON THE NATIONAL-STATE SELF-CONSCIOUSNESS OF THE
GEORGIANS IN THE BYZANTINE EMPIRE: Tornike Eristavi,
Giorgi Mtatsmindeli, Grigol Bakurianis-dze
Prof. Dr. Zurab PAPASKIRI**

მოკლე შინაარსი

თანამედროვე მეცნიერულ ბიზანტინისტიკაში კარგა ხანია დამკვიდრდა ცნება – „ბიზანტიური თანამეგობრობა“. ამ თანამეგობრობას მოიაზრებენ, როგორც ერთგვარ „ზეეროვნულ, კულტურულ-პოლიტიკურ ერთობას“, რომელიც ეფუძნება იმპერატორის უზენაესი ხელისუფლების აღიარებას მთელ ქრისტიანულ სამყაროში. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ბიზანტიის იმპერიაზე ორიენტირებულ სახელმწიფოთა წრეში შემავალი ქრისტიანული ქვეყნების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ იდენტობაზე. ამ მხრივ გამონაკლისი არ უნდა ყოფილიყო საქართველოც, რომელიც ქართული ბიზანტინისტიკის ფუძემდებლის, აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის სავესებით მართებული შენიშვნით, არამხოლოდ კულტურულად შედიოდა „ბიზანტიურ ორბიტში“, არამედ ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაც „ამჟამად... ბიზანტიურ დაღს“ ატარებდა“.

ოფიციალური კონსტანტინოპოლი თანმიმდევრულად ატარებდა მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების რელიგიური და კულტურულ-პოლიტიკური „გაბიზანტიელების“ პოლიტიკას,

რომელიც მიმართული იყო ამ ხალხებში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის მოშლისა და მათში რომაულ-იმპერიული ერთობის თვითშეგნების ჩამოყალიბებისაკენ. ამ პოლიტიკის გატარებაში თითქოს იმპერიის ხელისუფლების დასაყრდენი უნდა გამხდარიყო ბიზანტიის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ხალხების (ქართველთა, სომეხთა, რუსთა და ა.შ.) ქრისტიანული საგანეები. მაგრამ, როგორც ჩანს, საიმპერატორო კარი ამას ყოველთვის ვერ ახერხებდა, რისი ნათელი მაგალითია ათონზე მოღვაწე გამოჩენილ ქართველი მამების თორნიკე ერისთავისა და გიორგი მთაწმინდელის, აგრეთვე პეტრიწონის ქართული ლავრის დამმარსებლის, ბიზანტიის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენლის, სევასტოსის გრიგოლ ბაკურიანის ძის მკვეთრად გამოხატული ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი ცნობიერება. აღნიშნული მოღვაწეები არამხოლოდ დაფარულად, შინაგანად ინარჩუნებდნენ ქართულ-ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და სარწმუნოებრივ იდენტობას, არამედ ცდილობდნენ ღიად დაეცვათ თავიანთი სამშობლოს (გრიგოლ ბაკურიანის ძის შემთხვევაში, საერთოდ, – ისტორიული სამშობლოს) ეროვნული ინტერესები.

პირველად ამის მკაფიო დემონსტრირება მოახდინა ბერმა თორნიკემ (თორნიკე ერისთავმა – ერობაში იმიერტაოს ძლევამოსილი მმართველის, დავით კურაპალატის სარდალი, რომელიც, ათონზე, არაოფიციალურად, აშკარად ტაოს ხელმწიფის სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენლის უფლებებით იყო აღჭურვილი), როდესაც ათონის ქართულ საგანეში ბიზანტიის საიმპერატორო კარის საგანგებო მისიით მისულ მაღალჩინოსანს ერთბაშად არ დასთანხმდა კონსტანტინოპოლში

დედოფალთან აუდიენციაზე. ხოლო ამ უკანასკნელის შუამავლობა დავით კურაპალატთან, მაშინ იკისრა, როდესაც დაინახა იმპერიის ხელისუფლების მზაობა, რომ ამბოხებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გაწეული სამხედრო დახმარების სანაცვლოდ, ქართული მხარე სერიოზულ კომპენსაციას მიიღებდა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია ათონის ლავრის წინამძღვრის, დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის ენერგიული ბრძოლა საქართველოს ეკლესიის სუვერენიტეტისათვის დასაცავად, რაც დოკუმენტურადაა ასახული მის „*ცხოვრებაში*“. ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე ბერი არ ერიდება პოლემიკას თვით ანტიოქიის პატრიარქთან და უსაბუთებს მათ ქართული ეკლესიის ისტორიულ უფლებას ავტოკეფალიაზე, რითაც, ფაქტობრივად, იცავს მას ბიზანტიური საეკლესიო სივრცის ხელყოფისაგან.

ბერძნულ-ბიზანტიური მოძალების აღკვეთას და იმპერიაში ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდენტობის დაცვას ისახავს მიზნად გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ შედგენილ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში შეტანილი მოთხოვნა მონასტერში ბერძენი „ხუცეებისა“ და „მონაზვნების“ არ შემშვების შესახებ, თანაც მეტად გამომწვევი მოტივით – „*ბერძნები მოძალადები არიან, უპირონი... და ანგარნი...*“. არადა, ვინ ვინ და გრიგოლ ბაკურიანის ძე, თუნდაც თავისი მაღალი თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე (ის, ფაქტობრივად, იმპერატორ ალექსი კომნენოსის მარჯვენა ხელია), უნდა ცდილობდეს, იზრუნოს იგივე ქართული საეკლესიო თემის ერთიან რომაულ-ბიზანტიურ სივრცეში ინტეგრირებაზე. ის კი პირიქით იქცევა – აღვივებს ანტიბერძნულ (ანტიიმპერიულ) განწყობილებებს და მოუწოდებს სასულიერო დასს დაიცვას თავისი ეროვნული მეობა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ბიზანტია, თორნიკე ერისთავი, გიორგი მთაწმინდელი, გრიგოლ ბაკურიანის ძე.

ÜSTÜN VEYA ÖZEL YETENEKLİ ÖĞRENCİLERİN OKUMA TUTUMLARININ İNCELENMESİ (RİZE BİLSEM ÖRNEĞİ)

Bircan BEKTAŞ

ÖZET

Üstün ya da özel yetenekli bireylerin ülkelere göre oranının %2-3 civarında olduğu kabul edilmektedir. Ülkemizde yaklaşık 1.5 milyon üzerinde üstün yetenekli bireyin olduğu varsayılabilir. Üstün ya da özel yetenekli çocukların gelişim evrelerindeki davranışları diğer bireylere göre farklılaşabilmektedir. Üstün yetenekli çocuklar, öğrenme hızları yüksek olduğundan bilgi edinmeye açıktır. Bazıları her şey hakkında bilgi öğrenmek isterken bazıları da konudan konuya geçerler. Bazıları da tek bir konuya odaklanabilirler. Size her konu hakkında soru sorabilirler. Soru sormak onlar için bilgi edinmenin yoludur. Bu bireyler kendilerine uygun ortamlardaki ekosistemde eğitimlerine ve yaşamlarına devam edemediklerinde mutsuz, huzursuz olmalarının yanında, geliştirmeye müsait bir zemin sağlanmadığında bu öğrencilerimiz yeteneklerinin körelmesiyle karşılaşılabilirler. Özel yetenekli çocuklar geleceğin liderleri, bilim insanları, sporcuları sanatçıları olabilirler. İnsan kaynağının yönetimi açısından beyin göçü evresinden beyin dolaşımı evresine geçtiği bir dönemde üstün ya da özel yetenekli bireylerin uygun eğitim ortamlarında doğalarına uygun biçimde eğitim almalarına kayıtsız kalınmamalıdır. “Öğrenmeyi ve öğretmeyi farklılaştıran”, öğrenciden yalnızca etkin katılım değil aynı zamanda öğrenme hedeflerinin seçimindeki kararlara da katılımın beklendiği, öğrencinin eğitimin nesnesi değil öznesi oluşuna giden sürece katkı verilmelidir.

Öğrencilerin okul yaşamında akademik ihtiyaçlarını karşılamada okumanın önemi büyüktür. Çocukların okuma alışkanlığı kazanmalarında birçok etken rol oynamaktadır. Özellikle ailelerin bu konudaki tutumu çok önemlidir. Okuma ilgisi ailede başlar ve aileyle birlikte gelişir. Öğrencinin kendini tanıması, çevresiyle ilişki kurabilmesi ve hayatla bağlantı kurmasında okumanın önemli bir etken olduğu bilinmektedir. İçinde yaşadığımız toplumun tüm bilgi birikimi bireylere kitaplar aracılığıyla aktarılmaktadır. Üstün veya özel yetenekli

çocukların da okumaya ilgili oldukları, erken yaşta okumayı öğrendikleri, okuma alışkanlığı edindikleri düşünülmektedir. Öte yandan gelişen teknolojiler ve internet kullanımının yaygınlığı kitap okuma alışkanlığını olumsuz etkileyebilmektedir.

Bu araştırmanın amacı özel yetenekli öğrencilerin okuma alışkanlığı tutumlarını belirlemektir. Araştırmada tarama modeli kullanılmıştır. Araştırmanın örneklemini Rize Fatma-Nuri Erkan Bilim ve Sanat Merkezine 2018-2019 eğitim öğretim yılında devam eden 47'si kız ve 54'ü erkek olmak üzere toplam 101 ortaokul öğrencisi oluşturmaktadır. Veri toplama aracı olarak Murat Özbay ve Yusuf Uyar tarafından geliştirilen (2009) Okuma Tutumu Ölçeği kullanılacak ve 5. sınıf öğrencilerine de uygulanacaktır. Ölçeğin uygulanmasıyla elde edilecek olan bulgular ve veriler SPSS 16.0 paket programı aracılığı ile çözümlenip yorumlanacaktır.

Araştırmada sonucunda, üstün veya özel yetenekli öğrencilerin okuma alışkanlıklarının ve tercihlerinin sınıf düzeyleri arttıkça azalacağı beklenmektedir.

Anahtar Kelimeler: Üstün veya Özel Yetenekli Öğrenciler, Kitap Okuma, Okumaya Yönelik Tutumlar

‘MURTAZA’ ROMANI ÜZERİNE BİR DENEME

Erkan BEDER

ÖZET

Roman zamanı bakımından bin dokuz yüz kırk ile bin dokuz yüz elliler Türkiye’inde geçmektedir. Yunanistan’ın Alasonya adlı kazasından, mübadele ile İstanbul’a gelen Türk soylu Murtaza’nın yine onun gibi göçmen olan bir kızla evlenip, Çukurova’ya gelerek mahallede bekçi olması ve daha sonra iplik fabrikasında gece kontrollüğü görevlerinde yaşadıkları konu edildiği üç bölümden oluşmaktadır. Murtaza romanı, mekânları ve dramatik aksiyonları bazı merhalelerde değişim gösterse de gerçek dünya ve roman kahramanı Murtaza arasında ki başkalık ve yabancılaşma olarak tek bir ana izlek etrafında şekillenmiştir.

Göçmenlikle başlayan macera, hayatta edinilen doğru-yanlış kazanımın tam olarak iyi ve kötü kavramlarını karşılayıp karşılamayacağı sorusunun insanda ne gibi buhranlara yol açabileceğini, komik bazı durumlarda da dramatik olarak göstermektedir. Başkalaşmanın nasıl yalnızlığı doğurduğu, ait olamamanın nasıl varlığı yoklukla törpülediği ve yanlış inanılıp yanlış ifade edilen ülkülerin nasıl havada asılı kaldığını aşikâr etmektedir. Romanda dönemin siyasi gelişmeleri de aktarılmaktadır. Siyasi gelişmelerin toplumda nasıl yorumlandığı ve kutuplaşmaların nedenleri hissettirilmeden okurun sezgisine bırakılmaktadır.

İnceleme denemesinde ülkü değerler ve bunların karşı değerleri karakterlerin yapıları üzerinden verilmeye çalışılacaktır. Bu amaçla Profesör Doktor Ramazan KORKMAZ’ın ‘Kora’ şeması kullanılacaktır.

Kemal Tahir eserlerinin gerisindeki gözlem, tecrübe, yaşanmışlık ve yazarın hayat hikâyesi bilinse de metin odaklı bir analiz yapılacağı için bu hususlar inceleme metninde irdelenip eserle bağ kurulmaya çalışılmayacaktır.

Anahtar kelimeler: Murtaza, Yurtsuzluk, Görev, İşçiler, Göçmenlik

**„სათნოების მუშაკი“ – ქეთევან დედოფალი
ასოცირებული პროფესორი დალი ბეთხოშვილი**

**“VIRTUOUS WORKER” – QUEEN KETEVAN
Assoc. Prof. Dr. Dali BETKHOSHVILI**

მოკლე შინაარსი

მეჩვიდმეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის შემოქმედებას, რომელიც დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, როგორც ჟანრობრივად, ისე სათქმელის თვალსაზრისით. მეფე-პოეტის მხატვრულ მემკვიდრეობაში აღირიცხება როგორც ორიგინალური, აგრეთვე ნათარგმნი, სპარსულიდან გადმოკეთებული ნაწარმოებები. ორიგინალური შემოქმედებიდან, პირველ რიგში, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მისი უკვდავი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, რომელიც ლიტერატურულთან (იგი, უპირველესად, საერო ჟანრის ნაწარმოებია) ერთად საღვთისმეტყველო დანიშნულებისაა, რაზეც მიგვანიშნებს დედოფლის მიერ ამქვეყნიურობიდან ზესთასოფლისაკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, საღვთო სიმბოლიკები და სხვა. პოემაში ასახულია დედა-დედოფლის ქეთევანის სულიერი ღვაწლით აღბეჭდილი მოწამეობრივი მხატვრული სახე, რომელშიც არეკლილია ეროვნული ტკივილით სავსე, სამშობლოს და რწმენის დაცვისათვის თავდადების მისია, რომელიც მან გაბედულად საკუთარ თავზე იტვირთა, როგორც მძიმე ჯვარი, მსგავსად იესო ქრისტესი, და აღასრულა კიდეც. მან საკუთარი სისხლით დაამოწმა, დაადასტურა ქრისტეს ერთგულება, გახდა „მოწამე ღმრთისა“.

ქეთევან დედოფალი გახდა „სათნოების მუშაკი“, როგორც თვით ავტორი თეიმურაზ პირველი იხსენიებს თავის პოემაში

